საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N182 2010 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან,

რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საპატენტო კანონის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 47-ე მუხლის, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 91 მუხლის მე-7 პუნქტისა და 541 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე „საქპატენტის“ მიერ მომსახურების გაწევისათვის თანდართული საფასურები:

1. გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი N1).

2. სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი N2).

3. დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი N3).

4. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი N4).

5. საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი N5).

6. ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი N6).

მუხლი 2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესა-ხებ“ სა-ქარ-თველოს კანო-ნის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1999 წლის 27 ივლისის N51 ბრძანება „სამრეწველო

საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვის საფასურების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული საფასურები გავრცელდეს დადგენილების ამოქმედების თარიღის შემდეგ „საქ-პატენტში“ შეტანილ განაცხადებზე.

მუხლი 4. N4 დანართის მე-40 და 41-ე გრაფით გათვალისწინებული საფასურები ამოქმედდეს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლისთანავე.

მუხლი 5. განაცხადზე, რომელზეც ამ დადგენილების ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს საქმისწარმოება, შესაბამის ობიექტებზე საპატენტო სიგელისა და მოწმობების გაცემის ჩათვლით, გავრცელდეს ის საფასურები, რომლებიც მოქმედებდა განაცხადის საქპატენტში შეტანის დროს. *(28.07.2010 N 215)*

მუხლი 51. ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ საქპატენტში შესული სააპელაციო საჩივრების განხილვაზე, მათ შორის, იმ სააპელაციო საჩივრებზე, რომლებიც შეეხება დადგენილების ამოქმედებამდე საქპატენტში შესულ განაცხადებს, გავრცელდეს თანდართული საფასურები. *(28.07.2010 N 215)*

მუხლი 6. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ საფასურებზე, განმცხადებელ გამომგონებლებსა და დიზაინერებზე გავრცელდეს 70%-იანი შეღავათი, ხოლო სტუდენტ, სკოლის მოსწავლე და პენსიონერ განმცხადებელ გამომგონებლებსა და დიზაინერებზე - 90%-იანი შე-ღა-ვათი.

მუხლი 7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ნიკა გილაური*

დანართი N1 *(28.07.2010 N 215)*

გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურები

№	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	
1.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	90
2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნით	120
	არსობრივი ექსპერტიზა	
3.	დაცვის ობიექტის დადგენა	90
4.*	ტექნიკის დონის განსაზღვრა ერთ დამოუკიდებელ მუხლზე	180
5.*	ტექნიკის დონის განსაზღვრა ერთზე მეტ ყოველ დამოუკიდებელ მუხლზე	120
6.	განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა	60
	გამოქვეყნება	
7.	გამოქვეყნება 30 გვერდამდე	60
8.	გამოქვეყნება 30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე	2

პატენტის გაცემა და ძალის შენარჩუნება		
9.	პატენტის გაცემა და პირველი ორი წლით ძალის შენარჩუნება	200
10.	ერთზე მეტი განმცხადებლის არსებობის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი საპატენტო სიგელის გაცემა	20
11.	პატენტის ძალის შენარჩუნება მესამე, მეოთხე, მეხუთე წლებში, ყოველწლიურად	50
12.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეექვსე, მეშვიდე, მერვე წლებში, ყოველწლიურად	70
13.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე წლებში, ყოველწლიურად	170
14.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე წლებში, ყოველწლიურად	250
15.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე წლებში, ყოველწლიურად	300
16.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე წლებში, ყოველწლიურად	500
17.	სამედიცინო პროდუქტისათვის გამოგონების პატენტის მოქმედების დამატებითი ვადის მოთხოვნა ყოველი ერთი წლით	100
18.	პატენტის მოქმედების აღდგენა	100
საერთაშორისო განაცხადზე ჩასატარებელი ქმედებები		

19.	საერთაშორისო განაცხადის შემოწმება საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალის-წინებით და განაცხადის მასალების გადაგზავნა	**100**
ქმედებები განმცხადებლის, პატენტმფლობელის ან/და მესამე პირის მოთხოვნით		
20.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მიმართვაზე	40
21.	შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30
22.	გამოგონების განაცხადის გარდაქმნა სასარგებლო მოდელის განაცხადად	50
23.	სასარგებლო მოდელის განაცხადის გარდაქმნა გამოგონების განაცხადად	70
24.	საგამომგონებლო დონის შეფასების მოთხოვნა თითოეულ განაცხადზე	150
25.	პატენტის გაცემის შემდეგ ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება	180
26.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	30
27.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა ფორმალური ექსპერტიზის დასრულების შემდეგ	60
28.	საერთაშორისო განაცხადზე უფლებების აღდგენა	80

29.	ტექნიკის დონის განსაზღვრა ყოველ დამატებით დამოუკიდებელ მუხლზე დოკუმენტური დასკვნის გაცემის შემდეგ	120
30.	განაცხადის დამოწმებული ასლის მომზადება და გაცემა	30
31.	ცვლილებების შეტანა რეესტრში ერთი მიმართვით ყოველ ერთ პატენტზე	60
32.	საპატენტო სიგელის დუბლიკატის გაცემა	60
33.	დამოწმებული ამონაწერის მომზადება და გაცემა რეესტრიდან	30
34.	ხელშეკრულების რეგისტრაცია	100
35.	აპელაციის განხილვა ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საკითხზე	180
36.	აპელაციის განხილვა არსობრივი ექსპერტიზის საკითხზე	360
37.	მექანიკური შეცდომების გასწორების მოთხოვნა ერთ პატენტზე	10
38.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
39.	ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა	100

4*, 5* - თუ განაცხადზე ,,საქპატენტში" წარდგენილი იქნება საერთაშორისო მოძიებისა ან/და საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ანგარიშები, აღნიშ--ნულ ქმედებათა საფასურები შემცირდება 50%-ით.

დანართი N2 *(28.07.2010 N 215)*

სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურები

№	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა		
1.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	90
2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნით	120
არსობრივი ექსპერტიზა		
3.	დაცვის ობიექტის და სიახლის დადგენა	90
4.	განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა	60

გამოქვეყნება, პატენტის გაცემა და ძალის შენარჩუნება		
5.	გამოქვეყნება, პატენტის გაცემა და პირველი ორი წლით ძალის შენარჩუნება	170
6.	პატენტის ძალის შენარჩუნება მესამე, მეოთხე წლებში, ყოველწლიურად	50
7.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეხუთე, მეექვსე წლებში, ყოველწლიურად	70
8.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეშვიდე, მერვე წლებში, ყოველწლიურად	170
9.	პატენტის ძალის შენარჩუნება მეცხრე, მეათე წლებში, ყოველწლიურად	300
10.	პატენტის მოქმედების აღდგენა	100
11.	ერთზე მეტი განმცხადებლის არსებობის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი საპატენტო სიგელის გაცემა	20
ქმედებები განმცხადებლის, პატენტმფლობელისა და მესამე პირის მოთხოვნით		
12.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მომართვაზე	40
13.	შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30
14.		

	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	30
15.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა ფორმალური ექსპერტიზის დასრულების შემდეგ	60
16.	საერთაშორისო განაცხადზე უფლების აღდგენა	80
17.	განაცხადის ერთი დამოწმებული ასლის მომზადება და გაცემა	30
18.	ცვლილებების შეტანა რეესტრში ერთი მიმართვის მოთხოვნით ყოველ ერთ პატენტზე	60
19.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30
20.	საპატენტო სიგელის დუბლიკატის გაცემა	60
21.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
22.	ხელშეკრულების რეგისტრაცია	100
23.	აპელაციის განხილვა ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საკითხზე	180
24.	აპელაციის განხილვა არსობრივი ექსპერტიზის საკითხზე	360
25.	მექანიკური შეცდომების გასწორების მოთხოვნა ერთ პატენტზე	10
26.	ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა	100

დანართი N3 *(28.07.2010 N 215)*

დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

N	**ქმედება**	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა		
1.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	50
2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ყოველ ერთზე მეტ დიზაინზე	10
3.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნით	60
4.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნით ყოველ ერთზე მეტ დიზაინზე	10
არსობრივი ექსპერტიზა		
5.	არსობრივი ექსპერტიზა	80
6.	არსობრივი ექსპერტიზა ყოველ ერთზე მეტ დიზაინზე	10
გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა და ძალის შენარჩუნება		

7.	ერთი დიზაინის გამოქვეყნება	10
8.	დიზაინის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნება	100
9.	დიზაინის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნება თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
10.	მეორე ხუთი წლით რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება	80
11.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეორე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
12.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მესამე ხუთი წლით	100
13.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მესამე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
14.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეოთხე ხუთი წლით	300
15.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეოთხე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	30
16.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეხუთე ხუთი წლით	550
17.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეხუთე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	50
18.	რეგისტრაციის აღდგენა	100
ქმედებები განმცხადებლის, დიზაინის მფლობელის ან/და მესამე პირის მოთხოვნით		

19.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მიმართვაზე	40
20.	ცვლილებების შეტანა რეესტრში ერთი მიმართვის მოთხოვნით ყოველ ერთ დიზაინზე	40
21.	გამოქვეყნების გადადება	100
22.	შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30
23.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	30
24.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა ფორმალური ექსპერტიზის დასრულების შემდეგ	60
25.	განაცხადის დამოწმებული ასლის მომზადება და გაცემა	30
26.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის მომზადება და გაცემა	30
27.	მოწმობის დუბლიკატის გაცემა	90
28.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
29.	ხელშეკრულების რეგისტრაცია	100
30.	აპელაციის განხილვა	200
31.	აპელაციის განხილვა თითოეულ დამატებით დიზაინზე	20
32.	მექანიკური შეცდომების გასწორების მოთხოვნა	20

	თითოეულ შესაცვლელ მოწმობაში	
33.	ერთზე მეტი განმცხადებლის არსებობის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი მოწმობის გაცემა	20
34.	საქმისწარმოების აღდგენა	30
დაჩქარებული რეგისტრაცია		
35.	დაჩქარებული ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	100
36.	დაჩქარებული ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა თითოეულ დამატებით დიზაინზე	20
37.	დაჩქარებული არსობრივი ექსპერტიზა	160
38.	დაჩქარებული არსობრივი ექსპერტიზა თითოეულ დამატებით დიზაინზე	20

დანართი N4 *(28.07.2010 N 215)*

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

N	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
1.	სასაქონლო ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ერთ კლასზე	90
2.	სასაქონლო ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	50
3.	კოლექტიური ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ერთ კლასზე	150
4.	კოლექტიური ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	90
5.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა	30
6.	სასაქონლო ნიშნის არსობრივი ექსპერტიზა	120

7.	კოლექტიური ნიშნის არსობრივი ექსპერტიზა	310
8.	გამოქვეყნება	60
9.	განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა	90
10.	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და ათი წლით ძალის შენარჩუნება	150
11.	ერთზე მეტი განმცხადებლის არსებობის შემთხვევაში ყოველი დამატებითი მოწმობის გაცემა	30
12.	სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო ათი წლით საქონლის ერთ კლასზე	300
13.	სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო ათი წლით საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	50
14.	კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და ათი წლით ძალის შენარჩუნება	550
15.	კოლექტიური ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო ათი წლით საქონლის ერთ კლასზე	550
16.	კოლექტიური ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო ათი წლით საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	90
17.	საერთაშორისო განაცხადის დამოწმება და გადაგზავნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზა-ციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში	60
18.	დამატებითი გავრცელების შესახებ საერთაშორისო განაცხადის დამოწმება და გადაგზავნა ინტელექ-ტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში	60
19.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მიმართვაზე	60
20.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	50
21.	ცვლილებების შეტანა რეესტრში ერთი მიმართვით ყოველ ერთ ნიშანზე	60
22.	განაცხადის დამოწმებული ასლის გაცემა	30
23.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30
24.	მოწმობის დუბლიკატის გაცემა	90
25.	მოწმობის დანართის დუბლიკატის გაცემა	30
26.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
27.	ხელშეკრულების რეგისტრაცია ყოველ ერთ ნიშანზე	90
28.	აპელაციის განხილვა სასაქონლო ნიშანზე	200
29.	აპელაციის განხილვა კოლექტიურ ნიშანზე	400
30.	მოთხოვნილი საბუთის წარდგენის ვადის	30

	გაგრძელება ერთი თვით	
31.	სასაქონლო ნიშანზე განაცხადის ფორმალური და არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ერთ კლასზე	500
32.	სასაქონლო ნიშანზე განაცხადის ფორმალური და არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ყოველ დამატებით კლასზე	200
33.	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა, გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით და ათი წლით ძალის შენარჩუნება	340
34.	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა, გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით და ათი წლით ძალის შენარჩუნება ყოველ დამატებით კლასზე	200
ინდივიდუალური საფასურები ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმით საქართველოზე გავრცელებისათვის		
35.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელება საქართველოზე ათი წლით, საქონლის ერთ კლასზე	285
36.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელება საქართველოზე ათი წლით, საქონლის ყო-ველ ერთზე მეტ კლასზე	100
37.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მომდევნო ათი წლით, საქონლის ერთ კლასზე	285
38.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მომდევნო ათი წლით, საქონლის ერთზე მეტ კლასზე	100

დამტკიცებულია

საქართველოს მთავრობის

2010 წლის 3 ივლისის

N 182 დადგენილებით

დანართი N5

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

N	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
1.	საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე განაცხადის ექსპერტიზა	120
2.	გამოქვეყნება	50
3.	საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია	160
4.	ცვლილებების შეტანა რეესტრში	50
5.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30

დამტკიცებულია

საქართველოს მთავრობის

2010 წლის 3 ივლისის

N 182 დადგენილებით

დანართი N6

ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან

დაკავშირებული საფასურები

N	ქმედება	ლარი
1.	ნაწარმოების დეპონირებისა და მოწმობის გაცემის საფასური	10
2.	მონაცემთა ბაზის დეპონირებისა და მოწმობის გაცემის საფასური	10
3.	დეპონირების მოწმობის დუბლიკატის გაცემის საფასური	5